პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 101 (5910)
1977 წ. 25 მაისი. ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

სსრ კავშირის საკონსტიტუციო კომისიის სხდომის შესახებ

1977 წლის 23 მაისს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის თავმჯდომარეობით გაიმართა საკონსტიტუციო კომისიის სხდომა. საკონსტიტუციო კომისიამ განიხილა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი. განხილვაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ბ. ნ. პონომარიოვი, პ. პ. გრიშკიავიჩუსი, ა. თ. ვატჩენკო, ზ. პ. პუხოვა, ა. ა. გრომიკო.

საკონსტიტუციო კომისიამ ძირითადად მოიწონა პროექტი და მიიღო გადაწყვეტილება შეიტანოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში წინადადება, რომ საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი.

სარედაქციო ქვეკომისიასა და საკონსტიტუციო კომისიის მიერ შექმნილ სამდივნოს დაევალათ უზრუნველყონ იმ შენიშვნებისა და შესწორებების განზოგადება და განხილვა, რომლებიც შემოვა კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს და წინადადებანი წარუდგინონ საკონსტიტუციო კომისიას.

ქართული მეცნიერების რაინდი

ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლისა და უხუცესი პროფესორის აკაკი გაბრიელის ძე შანიძის დაბადების 90-ე წლისთავს.

იუბილარს ეწვივნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ გულთბილად მიულოცა აკადემიკოს აკაკი შანიძეს დაბადების 90-ე წლისთავი და უსურვა შემდგომი წარმატებები სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში და პირად ცხოვრებაში. თქვენი ცხოვრება და მოღვაწეობა, აღნიშნა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, სანიმუშო მაგალითია სამშობლოს და მეცნიერების უანგარო სამსახურისა. თქვენ ყოველთვის ედექით მხარში ჩვენ მშობლიურ პარტიას და ამჟამადაც აქტიურად იღვწით იმ გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომლებიც საბჭოთა მეცნიერებს დაუსახეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და მისმა ისტორიულმა XXV ყრილობამ.

იუბილარს მხურვალედ მიულოცეს დაბადების დღე და დღეგრძელობა უსურვეს ამხანაგებმა პ. გ. გილაშვილმა და ზ. ა. პატარიძემ.

• • •

სახელოვანი მეცნიერისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე, რომელიც 23 მაისს გაიმართა ფილარმონიის დიდ დარბაზში, შეიკრიბა მისი ნიჭის, მშობელი ხალხის, საბჭოთა მეცნიერების წინაშე მისი ღვაწლის მრავალი თაყვანისმცემელი.

აკაკი შანიძის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ.

ო. ჩერქეზიამ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მისალმება იუბილარისადმი.

საიუბილეო საღამოზე მოხსენება აკაკი შანიძის ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა შ. ძიძიგურმა. იუბილარს მიესალმნენ მოსკოვის, ლენინგრადის, მოკავშირე რესპუბლიკების გამოჩენილი მეცნიერები, საზღვარგარეთელი სტუმრები.

ა. შანიძემ მხურვალე მადლობა მოახსენა პარტიასა და მთავრობას მისი ღვაწლის მაღალი შეფასებისთვის. მეცნიერების გზას რომ ვიწყებდი, თქვა სწავლულმა, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ქართულ მეცნიერებას ასეთი გრანდიოზული გაქანება მიეცემოდა, რომ იგი ასეთ წვლილს შეიტანდა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა მეცნიერებაში.

საქართველოს პროფსაბჭოში

მთავარი პრობლემა — ბაზების კეთილმოწყობა

ამას წინათ საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა იმსჯელა ამიერკავკასიის რკინიგზის „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს სპორტული ბაზების მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის, პროფკავშირთა საგზაო საბჭოს და „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს ხელმძღვანელები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებისა და მოწესრიგებისთვის. უკანასკნელ წლებში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა: სამტრედიაში — სპორტთამაშების დარბაზი, ქუთაისში — მძლეოსნური მანეჟი, ზაჰესთან — სანიჩბოსნო ბაზა, ხაშურში კაპიტალურად შეკეთდა სპორტული დარბაზი, თბილისში — ფიზკულტურელის სახლი. გარემონტდა „ლოკომოტივის" სტადიონის სარბენი ბილიკები და მძლეოსნური სექტორები. სულ მეცხრე ხუთწლედის მანძილზე ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობამ ბაზების რეკონსტრუქციაზე, შეკეთებასა და მოვლაზე მილიონ 325 ათასი მანეთი დახარჯა.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ამასთან აღნიშნა, რომ „ლოკომოტივის" ბევრი სპორტული ნაგებობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს: სამტრედიაში საცურაო აუზი რამდენიმე წელია არ მუშაობს და იგი საფეხბურთო მინდვრის მოსარწყავ რეზერვუარად გადააქციეს; დიღომში არსებული ფეხბურთის სასწავლო-საწვრთნელი ბაზა ვარჯიშისთვის უვარგისი გახდა, სასტუმრო კი არ თბება; მოსაწესრიგებელია თბილისის ფიზკულტურის სახლის ცენტრალური გათბობა; თბილისში არსებული 50-მეტრიანი აუზი, „ლოკომოტივის" სტადიონის ფეხბურთის მინდორი, ტრიბუნები, მშვილდოსნების სავარჯიშო მოედანი, გასახდელები, საშხაპეები კაპიტალურად შესაკეთებელია. რესპუბლიკის რკინიგზელთა სპორტული ბაზების ნაწილს აკლია სპორტინვენტარი და აღჭურვილობა.

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისა და მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშებისთვის მომზადების მიზნით საქართველოს პროფსაბჭომ ამიერკავკასიის რკინიგზის „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს დაავალა ყველაფერი იღონოს სპორტული ბაზების დროულად მოწესრიგებისთვის, „ლოკომოტივის" სტადიონზე მოაწყოს ჯანმრთელობის ზონა, გამოყოს ადგილი ჯანმრთელობის ჯგუფებში მომეცადინეებისთვის.

ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობას ეთხოვა კაპიტალურად შეაკეთოს რკინიგზის საცურაო აუზი და „ლოკომოტივის" სტადიონი, დიღმის სასწავლო სპორტული და ზაჰესის სანიჩბოსნო ბაზები, თბილისის ფიზკულტურის სახლი; დროულად გადაწყვიტოს სამტრედიის საცურაო აუზის კაპიტალური შეკეთებისა და თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე სპორტდარბაზის მშენებლობის საკითხი; სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საყოფაცხოვრებო მშენებლობის ფონდიდან გამოყოს სახსრები სასწავლო-სპორტული მუშაობის ასამაღლებლად, სპორტინვენტარის და აღჭურვილობის შესაძენად, წლის დამლევამდე შეიმუშაოს თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონის სპორტულ კომპლექსად განვითარების გენერალური გეგმა; შეისწავლოს ზესტაფონის რკინიგზის კლუბის სპორტულ დარბაზად გამოყენების შესაძლებლობა.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს პროფსაბჭოს საფინანსო განყოფილებას დაავალა „ლოკომოტივის" სტადიონის ჯანმრთელობის ზონისთვის ინვენტარის შესაძენად გამოყოს 5000 მანეთი.

ამიერკავკასიის რკინიგზის, პროფკავშირთა საგზაო საბჭოს, „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს ხელმძღვანელები უკვე შეუდგნენ აღნიშნული დადგენილების განხორციელებას. მიმდინარეობს თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონის რემონტი, მაგრამ ისეთი ნელი ტემპით, რომ საეჭვოა სამუშაოები წლის ბოლომდე დამთავრდეს, ამასთან ხარისხიც დაბალია.

• • •

როგორც სტადიონის დირექტორმა გ. კავთიაშვილმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, შემუშავებულია სპორტის პროპაგანდის საშუალებების — ფოტოვიტრინების, პლაკატებისა და ლოზუნგების ესკიზები. მოეწყობა საქართველოს, „ლოკომოტივისა" და სსრ კავშირის გამოჩენილ სპორტსმენთა ფოტოსტენდები, რეკორდების ცხრილები, მშდ კომპლექსის ნორმატივების დაფები...

დიდი გზის ეტაპები

ხვალ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში მუშაობას იწყებს სამეცნიერო კონფერენცია საბჭოთა ხელისუფლების წლებში ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებზე, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს ეძღვნება. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი ა. მელია „ლელოს" კორესპონდენტს ესაუბრა მომავალი კონფერენციის გეგმებსა და ამოცანებზე.

— სულ წაკითხული იქნება თხუთმეტი სამეცნიერო მოხსენება, — თქვა ა. მელიამ. — დამსწრეთა წინაშე გამოვლენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპორტულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, პედაგოგიური მუშაკები, ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტები, მეცნიერები. აზერბაიჯანისა და სომხეთის სპორტკომიტეტების თავმჯდომარეები გ. რზაევი და რ. ასატრიანი კონფერენციის მონაწილეებს უამბობენ ამ რესპუბლიკებში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაზე. „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოღვაწეობა 1973-1976 წლებში რესპუბლიკაში ფიზკულტურული მოძრაობის გარდაქმნის მიზნით", — ასეთია საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ს. ჯაიანის მოხსენების თემა. სომხეთში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შესახებ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე ისაუბრებს პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ბუტაევი.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის თანამშრომლები კონფერენციაზე ოთხ მოხსენებას წაიკითხავენ. ესაა „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბრძოლა ფიზკულტურული მოძრაობის სიწმინდისთვის რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში" (დოცენტი ა. ციბაძე), „საქართველოს კომუნისტური პარტიის როლი ფიზკულტურული კადრების მომზადებაში" (უფროსი მასწავლებელი პ. ოკონაშვილი), „საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა ინტერნაციონალური აღზრდა" (პროფესორი კ. ივანიძე), „სპორტის ხალხურ-ეროვნულ სახეობათა განვითარების ინტერნაციონალური მნიშვნელობა საქართველოს სსრ მასალების მიხედვით" (დოცენტი ვ. ელაშვილი).

კონფერენციის მონაწილენი კიდევ ბევრ საინტერესო საკითხზე იმსჯელებენ.

ზ. ქვათაძე.

ყველა ხარისხის ჯილდო

ქალაქ ბალაშიხაში (მოსკოვის ოლქი) დამთავრდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირადგუნდური ჩემპიონატი ძიუდოში. კარგად იასპარეზეს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სპორტსმენებმა, რომლებმაც გუნდური პირველობა არავის დაუთმეს. პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ: ო. ზურაბიანი (65 კგ-მდე), ა. წიკლაური (78 კგ) და რ. ხარშილაძე (95 კგ). ნ. ობგაიძესა (65 კგ) და გ. გოგოლაურს (95 კგ) ვერცხლის მედლები ხვდათ. ე. დამადაევსა და ა. ოქრომჭედლიძეს (85 კგ) — ბრინჯაოსი.

ნ. კოსტავა.

მშვიდობის ველორბოლის ლაურეატები

სურათებზე: მშვიდობის XXX საიუბილეო ველორბოლაში გამარჯვებული საბჭოთა სპორტსმენები. მარცხნივ — ა. პიკუუსი (წინა პლანზე) ერთ-ერთი ეტაპის ფინიშზე; მარჯვნივ — საბჭოთა გუნდის საპატიო წრე პრაღის სტადიონზე.

საკდესის ფოტოები.

მშვიდობის 30-ე საიუბილეო ველორბოლაში გამარჯვებული ტარტუელი სპორტსმენი, დინამოელი აავო პიკუუსი 22 წლისაა. იგი ოთხი წელია, რაც ქვეყნის ნაკრებში გამოდის. პირველად სპეციალისტებმა პიკუუსზე მას შემდეგ დაიწყეს ლაპარაკი, რაც ესტონელმა სპორტსმენმა სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა 1975 წლის მრავალდღიან ველორბოლაში. იმავე წელს მოეწყო აავოს დებიუტი მშვიდობის ველორბოლაში, რომელიც სსრ კავშირის ნაკრების გამარჯვებით დაგვირგვინდა. პირად ჩათვლაში პიკუუსი მესამე იყო.

მონრეალის თამაშებში აავო პიკუუსი შედიოდა საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში, რომელიც ოლიმპიადის პირველი ჩემპიონი გახდა 100 კილომეტრზე რბოლაში. აი, რა თქვა მაშინ ნაკრების კაპიტანმა, კურსკელმა ვალერი ჩაპლიგინმა თავისი ამხანაგის შესახებ:

— პიკუუსი თავისებური, ძალზე ემოციური სპორტსმენია. გუნდში იგი დიდხანს ვერ ჩაერთო ანსამბლში, მაგრამ ძალზე შრომისმოყვარეა, ბევრს მუშაობდა და მიაღწია კიდეც მიზანს.

ახლა კი მოვუსმინოთ გზატკეცილზე რბოლის საბჭოთა ოსტატთა მწვრთნელს, რომის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულს, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონს ვიქტორ კაპიტონოვს:

— აავო პიკუუსი ნიჭიერი სპორტსმენია. იგი, თუ შეიძლება ითქვას, საუცხოოდ ხედავს რბოლას, ძალზე ძლიერია ფინიშზე. სხვათა შორის, გუნდურ რბოლებამდე აავო ჯგუფურ შეჯიბრებაში მონაწილეობდა. საერთოდ კი პიკუუსი უნივერსალია, ზოგჯერ ტრეკზეც კი ასპარეზობს. ამიტომ მისი წარმატების საიდუმლო მარტივია: აავო ძალზე შრომისმოყვარეა. რეგულარულად ვარჯიშობს, გულმოდგინედ მუშაობს ოსტატობის დასახვეწად. დარწმუნებული ვარ, იგი კვლავაც ბევრჯერ გაგვახარებს წარმატებებით.

(საკდესის კორ.).

დებულება

ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემის მთელი სტრუქტურისა და შინაარსის შემადგენელი ნაწილია. იგი გამოხატავს მის მიზანს, იდეურ მიმართულებას, ამოცანებს, პრინციპებსა და მთავარ დამახასიათებელ ნიშნებს. კლასიფიკაცია მჭიდროდაა დაკავშირებული სასწავლო სპორტული მუშაობის მოწინავე პრაქტიკასთან, სპორტულ შეჯიბრებათა სისტემასთან, სპორტსმენთა მიღწევებთან და აგებულია მათს საფუძველზე.

სპორტული კლასიფიკაცია მოიცავს საბჭოთა ქვეყანაში დანერგილ ყველა სახეობას. იგი ხელს უწყობს ამ სახეობათა მასობრივ განვითარებას და მიმართულების ერთიანობას, მათს გამოყენებას ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბჭოური სკოლის ძირითად საშუალებებად.

ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია განსაზღვრავს ძირითად მოთხოვნებს სპორტსმენის ყოველმხრივი, ჰარმონიული მომზადებისადმი. მისი ძირითადი დანიშნულებაა მთელს საბჭოთა ქვეყანაში ერთიანი სათანრიგო ნორმებისა და მოთხოვნების, მათი შესრულების პირობების, სქესის, ასაკისა და სპორტული კვალიფიკაციის მიხედვით თანრიგებისა და წოდებების მინიჭების წესის დადგენა.

სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროგრამების, ფიზკულტურის კოლექტივებში, სპორტულ კლუბებსა და სპორტულ სკოლებში სპორტის სახეობათა ნორმატივებთან, „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმებთან და მოთხოვნებთან ერთად სპორტული კლასიფიკაცია ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემის სანორმატივო მოთხოვნებში შედის.

სპორტული კლასიფიკაციის მთავარი სოციალური მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა თაობას ფიზიკურ სრულყოფაში, შრომისა და სამშობლოს დაცვისთვის მომზადებაში.

I. სპორტული კლასიფიკაციის ამოცანები

1. ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის სისტემა, რომელიც წყვეტს სპორტულ-აღმზრდელობით, საგანმანათლებლო და გამაჯანსაღებელ ამოცანებს, მოწოდებულია ხელი შეუწყოს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებას საბჭოთა ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების, საბჭოთა ხალხის ყოფა-ცხოვრებაში მათი ფართოდ დანერგვის მიზნით.

ამასთან დაკავშირებით, 1977-1980 წლებში ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის ამოცანებია:

ა) ახალგაზრდობაში გააღვივოს ინტერესი სპორტისადმი, ჩააბას იგი სისტემატურ სპორტულ მეცადინეობაში, ხელი შეუწყოს ოსტატობის დონის ამაღლებასა და 1980 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის წარმატებით მომზადებაში;

ბ) დაადგინოს მთელ საბჭოთა ქვეყანაში საერთო სპორტული თანრიგები და წოდებები, სათანრიგო ნორმები და მოთხოვნები დანერგილ სახეობებში, აგრეთვე, სათანრიგო ნორმებისა და მოთხოვნების შესრულების, სპორტული წოდებებისა და თანრიგების მინიჭების ერთიანი წესი;

გ) ხელი შეუწყოს სპორტის სხვადასხვა სახეობათა მასობრივ განვითარებას, საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვას, სასწავლო-სპორტული მუშაობის ხარისხის ამაღლებას, სპორტულ შეჯიბრებათა სისტემის კიდევ უფრო გაუმჯობესებას.

დ) აღზარდოს სპორტსმენები კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსისა და საბჭოთა სპორტული ეთიკის სულისკვეთებით.

II. სახეობები, რომლებშიც სპორტსმენებს თანრიგები და წოდებები ენიჭებათ

2. წოდებებსა და თანრიგებს სპორტსმენებს ანიჭებენ კლასიფიკაციით გათვალისწინებულ შემდეგ სახეობებში:

ა) სპორტული სამმართველოები და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის განყოფილებები: 1. აკრობატიკა, 2. მთამსვლელობა, 3. ბადმინტონი, 4. კალათბურთი, 5. ბიატლონი, 6. კრივი, 7. თავისუფალი ჭიდაობა, 8. ძიუდო, 9. კლასიკური ჭიდაობა, 10. სამბო, 11. საბუერო სპორტი, 12. ველოსპორტი — ტრეკზე რბოლა, 13. ველოსპორტი — საგზატკეცილო რბოლა და კროსი, 14. წყალბურთი, 15. წყალსათხილამურო სპორტი, 16. ფრენბურთი, 17. სპორტული ტანვარჯიში, 18. მხატვრული ტანვარჯიში, 19. სამთო-სათხილამურო სპორტი: სლალომი, გიგანტური სლალომი, სწრაფდაშვება, სამთო ორჭიდი, სამთო სამჭიდი, 20. რუსული რიკაობა, 21. აკადემიური ნიჩბოსნობა, 22. ნიჩბოსნობა ბაიდარებითა და კანოეებით, სანიჩბოსნო სლალომი, 23. ნიჩბოსნობა ხალხური ნავებით, 24. ცხენოსნობა, 25. ციგურაობა, 26. მძლეოსნობა, 27. სათხილამურო რბოლა, 28. სათხილამურო ორჭიდი, 29. მშდ კომპლექსის მრავალჭიდი, 30. აფროსნობა, 31. ცურვა, 32. მხატვრული ცურვა (სინქრონული), 33. სახანძრო-გამოყენებითი სპორტი, 34. წყალში ხტომა, 35. ბატუტზე ხტომა, 36 ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა, 37. ტყვიის სროლა, 38. რეგბი, 39. ხელბურთი, 40. საციგაო სპორტი, 41. მეკლდეურობა, 42. თანამედროვე ხუთჭიდი, ოთხჭიდი და სამჭიდი, 43. სასტენდო სროლა, 44. მშვილდოსნობა, 45. სპორტული ცეკვა, 46. ჩოგბურთი, 47. მაგიდის ჩოგბურთი, 48. ძალოსნობა, 49. ფარიკაობა, 50. ფიგურული ციგურაობა, 51. ფეხბურთი, 52. ჰოკეი, 53. ჰოკეი ბურთით, 54. ბალახის ჰოკეი, 55. ჭადრაკი და საჭადრაკო კომპოზიცია, 56. შაში და საშაშო კომპოზიცია.

ბ) მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტები: სპორტის ეროვნული სახეობები.

გ) საკავშირო პროფსაბჭოს ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭო: 1. სპორტული ორიენტირება, 2. ტურიზმი.

დ) სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტული კომიტეტი: სპორტის სამხედრო-გამოყენებითი სახეობები და ვარჯიშები: 1. საავტომობილო სპორტი (ფიგურული მართვა), 2. სამხედრო-სპორტული მრავალჭიდი, 3. სანიჩბოსნო-საიალქნო სპორტი, 4. მძლეოსნობა, 5. სათხილამურო სპორტი, 6. საპარაშუტო სპორტი, 7. გამოყენებითი ცურვა, 8. დაბრკოლებათა ზოლის გადალახვა, 9. სასროლო სპორტი, 10. ვარჯიში სპეციალურ იარაღზე, 11. ვარჯიში საწონებით (ორჭიდი), 12. აჩქარებული გადაადგილება.

ე) სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო: სასამსახურო მრავალჭიდი.

ვ) სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი: 1. ავიასამოდელო სპორტი, 2. საავტომობილო სპორტი, 3. ავტოსამოდელო სპორტი, 4. საშვეულმფრენო სპორტი, 5 წყალსამოტორო სპორტი, 6. სამხედრო გამოყენებითი მრავალჭიდი, 7. ნიჩბოსნობა ორხხომელებით, 8. მრავალჭიდი სასამსახურო ძაღლებით, 9. საზღვაო მრავალჭიდი, 10 მოტობურთი, 11. სამოტოციკლო სპორტი, 12. საპარაშუტო სპორტი, 13. საპლანერო სპორტი, 14. წყალქვეშა სპორტი, 15. რადიოსპორტი, 16. რაკეტსამოდელო სპორტი, 17. სათვითმფრინავო სპორტი, 18. გემსამოდელო სპორტი.

III. სპორტული წოდებები და თანრიგები

3. სსრ კავშირში დანერგილ სახეობებში სპორტსმენებს ენიჭებათ შემდეგი წოდებები და თანრიგები:

სპორტული წოდებები: „სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი“, „სსრ კავშირის სპორტის ოსტატი“.

სპორტული თანრიგები: „სპორტის ოსტატობის კანდიდატი“, „პირველი თანრიგის სპორტსმენი“, „II თანრიგის სპორტსმენი“, „III თანრიგის სპორტსმენი“, „მოზარდთა I თანრიგის სპორტსმენი“, „მოზარდთა II თანრიგის სპორტსმენი“, „მოზარდთა III თანრიგის სპორტსმენი“.

სპორტის სხვადასხვა სახეობაში (მათ შორის ეროვნულშიც) მათი განვითარების თავისებურებებისა და დონის მიხედვით, აგრეთვე, სპორტსმენთა ოსტატობის დონის გათვალისწინებით ზემოთ ჩამოთვლილი წოდებები და თანრიგები დაინერგება მთლიანად ან ნაწილობრივ.

ჭადრაკსა და შაშში, ზემოჩამოთვლილთა გარდა, დაწესებულია წოდება „სსრ კავშირის დიდოსტატი“, ხოლო ჭადრაკში — „IV თანრიგის სპორტსმენის“ თანრიგი, „სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის“ წოდება შემოღებული არ არის.

4. კალენდარულ გეგმებში შემავალ ეროვნულ სახეობებში, რომლებშიც არსებობს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების მიერ დამტკიცებული ასპარეზობის წესები, შემოღებულია სპორტული წოდებები და თანრიგები „მოკავშირე რესპუბლიკის ეროვნულ სახეობათა ოსტატის“ წოდების ჩათვლით.

5. „სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის“ წოდება დაწესებულია იმ სახეობებში, რომლებიც შედის ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო ჩემპიონატების, მსოფლიო თასების გათამაშებათა პროგრამაში, აგრეთვე, იმ სახეობებში, რომლებშიც დიდი საერთაშორისო შეჯიბრებები ტარდება.

IV. სათანრიგო ნორმები და მოთხოვნები

6. სხვადასხვა დონის სპორტულ მიღწევათა მაჩვენებლებს სათანრიგო ნორმები და მოთხოვნები წარმოადგენს. ისინი დადგენილია თანრიგის, სახეობის თავისებურებების, სპორტსმენის სქესისა და ასაკის გათვალისწინებით.

7. სათანრიგო ნორმები გამოხატულია დროის, მანძილის, წონისა და სხვა რაოდენობრივი მაჩვენებლების სხვადასხვა ზომით.

სათანრიგო მოთხოვნები გამოიხატება ამა თუ იმ მასშტაბის შეჯიბრებაში დაკავებული ადგილით, ამა თუ იმ ასპარეზობაში რომელიმე ადგილზე გასული გუნდის შემადგენლობაში მონაწილეობით, გარკვეული თანრიგებას სპორტსმენებთან გამარჯვებით.

სპორტის ცალკეულ სახეობებში (ციგურაობა, მძლეოსნობა, ცურვა, ძალოსნობა და სხვ.) შეიძლება იყოს როგორც სათანრიგო ნორმები, ისე სათანრიგო მოთხოვნები. ისეთ სახეობებში, როგორიცაა სპორტული თამაშები, ჭიდაობის სხვადასხვა სახეობა, კრივი, ფარიკაობა და სხვები, შემოღებულია მხოლოდ სათანრიგო მოთხოვნები.

V. სპორტულ წოდებათა და თანრიგების მინიჭება

8. „სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატისა“ და „სსრ კავშირის სპორტის ოსტატის“ წოდება ენიჭებათ სპორტსმენებს —სსრ კავშირის მოქალაქეებს.

9. სპორტული წოდებები და თანრიგები ენიჭებათ სპორტსმენებს, რომლებიც შეასრულებენ დადგენილ ნორმებსა და მოთხოვნებს, ჩააბარებენ მშდ კომპლექსის ნორმატივებს ასაკის შესაბამისად. სამხედრო სამსახურში მყოფმა სპორტსმენებმა უნდა ჩააბარონ სამხედრო სპორტული კომპლექსის ნორმები.

10. სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებმა, სსრ კავშირის სპორტის ოსტატებმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატებმა, I, II, III და ჭაბუკთა თანრიგების სპორტსმენებმა წარმატებით უნდა შეასრულონ დადგენილ პროგრამებსა და ინდივიდუალურ გეგმებში გათვალისწინებული საერთო და სპეციალური ფიზიკური, ტექნიკური, ტაქტიკური, თეორიული, მორალურ-ნებელობითი მომზადებისა და სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მოთხოვნები.

11. სპორტული წოდებები და თანრიგები ენიჭებათ შეჯიბრების წესებით დადგენილი და კლასიფიკაციაში შემავალ სახეობებში სათანრიგო ნორმებისა და მოთხოვნების შესრულების პირობებით გათვალისწინებული ასაკის სპორტსმენებს.

12. ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, რომლებიც მოზარდთა სპორტული თანრიგების ნორმებსა და მოთხოვნებს შეასრულებენ, შეიძლება მიენიჭოთ უფროსთა III, II, I თანრიგები, „სპორტის ოსტატობის კანდიდატის“ თანრიგი, აგრეთვე, სპორტული წოდებები იმ სახეობებში, რომლებშიც ეძლევათ უფროსთა შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება ფიზიკური თუ სხვა სახის დატვირთვათა დადგენილი ნორმებისა და არსებული წესების საფუძველზე.

13. სპორტული წოდებები და თანრიგები ენიჭებათ მხოლოდ იმ შეჯიბრებებში ნაჩვენები შედეგების საფუძველზე, რომლებიც გათვალისწინებულია შესაბამის სპორტულ ორგანიზაციათა კალენდარული გეგმებით.

14. სპორტული თანრიგი ძალაშია სათანრიგო ნორმების ან მოთხოვნების შესრულებიდან ორი წლის მანძილზე. ამ ვადის გასვლის შემდეგ სპორტსმენი შეჯიბრებებში გამოდის მის მიერ ნაჩვენები შედეგის შესაბამის სათანრიგო ჯგუფში თანრიგის დამტკიცებამდე ან უფრო მაღალი თანრიგის მოპოვებამდე.

15. სათანრიგო მოთხოვნები შესრულებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ სპორტსმენებთან გამარჯვების შემთხვევაში, რომელთაც შეჯიბრების დაწყებისთვის შესაბამისი წოდებები და თანრიგები აქვთ.

VI. კვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაცია

16. სათანრიგო ნორმებისა და მოთხოვნათა შესასრულებლად სპორტსმენები ემზადებიან სასწავლებლებში, ფიზკულტურის კოლექტივებში და სპორტული კლუბების სექციებში, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლებისა და უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების განყოფილებებში, დოსააფის პირველად ორგანიზაციებსა და სპორტულ კლუბებში, აგრეთვე, სპორტულ ბაზებზე ჩატარებულ მეცადინეობებზე, კულტურისა და დასვენების პარკებში, საბინაო-საექსპლოატაციო კონტორებში, სპორტულ, გამაჯანსაღებელ და პიონერთა ბანაკებში, ტურბაზებში, მოსახლეობის მასობრივი დასვენებისა და ფიზიკური მომზადების სხვა ადგილებში.

კვალიფიციურ სპორტსმენებს ამზადებენ მწვრთნელები და მასწავლებლები, საზოგადოებრივი ინსტრუქტორები და მწვრთნელები. გარდა ამისა, ისინი დამოუკიდებლადაც ემზადებიან.

VII. სპორტული წოდებებისა და თანრიგების მინიჭების წესი

17. სპორტული წოდებები და თანრიგები ენიჭებათ სპორტსმენებს, რომლებიც შეასრულებენ შესაბამის სათანრიგო მოთხოვნებსა და ნორმებს ამა თუ იმ სახეობაში მხოლოდ დადგენილი მასშტაბისა და კალენდარული გეგმით გათვალისწინებულ ასპარეზობებში: ოლიმპიურ თამაშებში, ჩემპიონატებში, თასის გათამაშებებში, სპარტაკიადებში, იუნიორთა, ჭაბუკთა და ქალიშვილთა პირველობებში, მოსწავლეთა შეჯიბრებებში და ა. შ.

სპორტულ შეჯიბრებებს უნდა ემსახურებოდნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მსაჯები.

18. სპორტული წოდებები და თანრიგები სპორტსმენებს ენიჭებათ, თუ მთავარ მსაჯთა კოლეგიასა და უფროს მსაჯთა შემადგენლობაში შედიან:

„სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის“ წოდება — საკავშირო კატეგორიის სამი ან რესპუბლიკური კატეგორიის ხუთი მსაჯი.

„სსრ კავშირის სპორტის ოსტატისა“ — საკავშირო კატეგორიის ორი, ან რესპუბლიკური კატეგორიის სამი მსაჯი;

„სპორტის ოსტატობის კანდიდატის“ თანრიგი — საკავშირო კატეგორიის ერთი ან რესპუბლიკური კატეგორიის ორი მსაჯი.

I თანრიგი — რესპუბლიკური კატეგორიის ერთი ან პირველი კატეგორიის სამი მსაჯი.

II და ჭაბუკთა I თანრიგები — პირველი კატეგორიის ორი ან მეორე კატეგორიის სამი მსაჯი.

III, ჭაბუკთა II და III თანრიგები — მესამე კატეგორიის ორი მსაჯი.

მსაჯთა მიმართ ყველა აუცილებელი მოთხოვნა გადმოცემულია შეჯიბრებათა შესაბამის წესებში.

19. სახეობებში, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტში შედის, შემოღებულია წოდებებისა და თანრიგების მინიჭების შემდეგი წესი:

„სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის“ და „სსრ კავშირის სპორტის ოსტატის“ წოდებას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი ანიჭებს შესაბამისი სპორტული სამმართველოებისა და საკავშირო სპორტკომიტეტის განყოფილებათა წარდგინებით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტებისა და პირველადი ფიზკულტურული ორგანიზაციების რეკომენდაციის საფუძველზე.

„სპორტის ოსტატობის კანდიდატისა“ და პირველ თანრიგებს ანიჭებენ:

1977-1980 წლების ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციისა

ა) მოკავშირე რესპუბლიკებში, სადაც საოლქო დაყოფა არ არის — მოკავშირე რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოებთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების პირველადი ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და რაიონული ან საქალაქო სპორტკომიტეტების წარდგინებით;

ბ) მოკავშირე რესპუბლიკებში, სადაც საოლქო დაყოფა არის — მხარეების, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ოლქების ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტები პირველადი ფიზკულტურული ორგანიზაციების ფიზიკური კულტურისა და სპორტის რაიონული ან საქალაქო კომიტეტების წარდგინებით;

გ) საწარმოებისა და სასწავლებლების სპორტული კლუბების გამგეობები;

დ) ფიზიკური კულტურის ტექნიკუმების, ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოები;

ე) ფიზიკური კულტურისა და სპორტის ცალკეული საქალაქო კომიტეტები, აგრეთვე, მაღალი მაჩვენებლების მქონე სპორტული ორგანიზაციები. პირველადი ფიზკულტურული ორგანიზაციების წარდგინებით. ფიზიკური კულტურისა და სპორტის ამ საქალაქო კომიტეტებისა და სპორტულ ორგანიზაციათა სიებს ამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტები.

II სპორტულ თანრიგს ანიჭებენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის რაიონული ან საქალაქო კომიტეტები ფიზიკური კულტურის კოლექტივების წარდგინებით, აგრეთვე, ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო ან რაიონული კომიტეტების გადაწყვეტილებით — ფიზიკური კულტურის კოლექტივების საბჭოები და სპორტული სკოლების მწვრთნელთა საბჭოები, რომელთაც სპორტულ მუშაობაში მაღალი მაჩვენებლები აქვთ.

III და IV, აგრეთვე, ჭაბუკთა თანრიგებს (I, II, III) ანიჭებენ იმ ფიზიკური კულტურის კოლექტივების საბჭოები, სადაც არის ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოების, სულ ცოტა 50 წევრი, აგრეთვე, სპორტული სკოლების მწვრთნელთა საბჭოები.

ფიზიკური კულტურის მცირერიცხოვანი კოლექტივების სპორტსმენებს III, IV და ჭაბუკთა თანრიგებს ანიჭებენ შესაბამის სპორტსაზოგადოებათა რაიონული ან საქალაქო საბჭოები, ხოლო, თუ ასეთი საბჭოები არ არის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის რაიონული ან საქალაქო კომიტეტები.

ჭაბუკთა თანრიგებს (I, II, III) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებში, საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში ანიჭებენ დირექტორები ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოების წარდგინებით, სპორტულ სკოლებში — მწვრთნელთა საბჭოები.

20. ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკებში დანერგილ ეროვნულ სახეობებში წოდებებსა და თანრიგებს ანიჭებენ:

„ეროვნულ სახეობებში მოკავშირე რესპუბლიკის სპორტის ოსტატის“ წოდებას — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტები;

„სპორტის ოსტატის კანდიდატის“ თანრიგს, I, II, III და ჭაბუკთა თანრიგებს — კომიტეტების ინსტრუქციის შესაბამისად.

21. ტურიზმისა და ექსკურსიებას ორგანიზაციებში დანერგილ სახეობებში წოდებებსა და თანრიგებს ანიჭებენ:

„სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდებას“ — საკავშირო პროფსაბჭოს, ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭო პირველადი ორგანიზაციების, ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოების წარდგინებით.

„სპორტის ოსტატობის კანდიდატის“ თანრიგს, I, II, III და ჭაბუკთა თანრიგებს — ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოები საკავშირო პროფსაბჭოს ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალურ საბჭოს ინსტრუქციის შესაბამისად.

22. „სსრ კავშირის სპორტის ოსტატის“ წოდება სამხედრო-გამოყენებით სახეობებში და სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში დანერგილ ვარჯიშებში სპორტსმენებს ენიჭებათ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტული კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებით. „სპორტის ოსტატობის კანდიდატის“ თანრიგს, I, II და III თანრიგებს ანიჭებს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტული კომიტეტი, საბჭოთა არმიაში და სამხედრო-საზღვაო ფლოტში მიღებული წესის შესაბამისად.

23. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებისა და ჯარების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის სპორტულ ორგანიზაციებში „სსრ კავშირის სპორტის ოსტატის“ წოდება, „სპორტის ოსტატის კანდიდატის“ თანრიგი, I, II და III თანრიგები სამხედრო-გამოყენებით სახეობებში და ვარჯიშებში ენიჭებათ „დინამოს“ საკავშირო ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების ცენტრალური საბჭოს ინსტრუქციის შესაბამისად.

24. სსრ კავშირის დოსააფის ცენტრალურ კომიტეტში შემავალ სპორტის სახეობებში „სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატისა“ და „სსრ კავშირის სპორტის ოსტატის“ წოდებები, „სპორტის ოსტატობის კანდიდატის“ თანრიგი, I, II, III და ჭაბუკთა თანრიგები ენიჭებათ სსრ კავშირის დოსააფის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციის შესაბამისად.

25. სპორტის სახეობებში სათანადო ნორმები და მოთხოვნები შესრულებულად ჩაითვლება მხოლოდ დადგენილი მასშტაბის შეჯიბრებებში.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტებს შეუძლიათ მოკავშირე რესპუბლიკების დიდი ქალაქების რაიონული შეჯიბრებები მასშტაბით საქალაქო ტურნირებს გაუთანაბრონ.

სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში ჩატარებული შეჯიბრებები მასშტაბებით უთანაბრდება:

სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ჩემპიონატები — საკავშირო შეჯიბრებებს;

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონატები და პირველობები, სამხედრო ოლქების (ფლოტის) ჩემპიონატები და პირველობები — რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებს.

გაერთიანებათა და უმაღლეს სამხედრო სასწავლებელთა ჩემპიონატები და პირველობები — საოლქო მასშტაბის შეჯიბრებებს.

„დინამოს“ შეჯიბრებები მასშტაბით უთანაბრდება:

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩემპიონატები და პირველობები, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა და სახანძრო დაცვის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების შეჯიბრებები, რომელთაც ატარებს „დინამოს“ ცენტრალური საბჭო სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოებისა და ჯარების ნაკრებ გუნდებს შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს — შინაგან საქმეთა სამმართველოს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის — სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამმართველოს სრულიად რუსეთის შეჯიბრებები, ბელორუსიისა და უკრაინის სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროების ჩემპიონატები, ბელორუსიისა და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოებთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტების, მოსკოვის საქალაქო აღმასკომის შინაგან საქმეთა საქალაქო სამმართველოს ჩემპიონატები — რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებს.

26. სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატისა და „სსრ კავშირის სპორტის ოსტატის“ წოდებების, „სპორტის ოსტატობის კანდიდატის“ თანრიგის, I და II თანრიგების მისანიჭებლად ფიზკულტურის კოლექტივები, სპორტული კლუბები, სპორტული სკოლები და სხვა პირველადი ორგანიზაციები დადგენილი ნიმუშის სააღრიცხვო ბარათს გზავნიან ფიზიკური კულტურისა და სპორტის შესაბამის კომიტეტებში ან სხვა ორგანიზაციებში. „სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის“ და „სსრ კავშირის სპორტის ოსტატის“ წოდებების მისანიჭებლად, გარდა სააღრიცხვო ბარათისა, იგზავნება წარდგინება დადგენილი ფორმით.

III თანრიგის მისანიჭებლად სააღრიცხვო ბარათებს შესაბამის სპორტულ ორგანიზაციათა რაიონულ ან საქალაქო საბჭოებში, ხოლო თუ ასეთი საბჭოები არ არის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებში გზავნიან მხოლოდ მცირერიცხოვანი ფიზკულტურული კოლექტივები, რომელთაც მოცემული თანრიგის მინიჭების უფლება არა აქვთ.

27. ის ორგანიზაციები, რომელთაც მოცემული სპორტული წოდების ან თანრიგის მინიჭების უფლება აქვთ, საბუთების შემოწმების შემდეგ ანიჭებენ ამ წოდებას ან თანრიგს დადგენილებით ან ბრძანებით.

VIII. სამკერდე ნიშნების გადაცემა იმ სპორტსმენებისთვის, რომელთაც წოდებები და თანრიგები ენიჭებათ

28. სპორტსმენებს, რომელთაც წოდება ან თანრიგი ენიჭებათ, გადაეცემათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მიერ დამტკიცებული შესაბამისი სამკერდე ნიშნები.

სპორტსმენთათვის გადასაცემად დაწესებულია შემდეგი სამკერდე ნიშნები:

ა) „სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი“,

ბ) „სსრ კავშირის სპორტის ოსტატი“,

გ) „სპორტის ოსტატობის კანდიდატი“,

დ) I, II და III თანრიგების სპორტსმენისა,

ე) ჭაბუკთა I, II და III თანრიგების სპორტსმენისა.

29. სპორტსმენები, რომელთაც მიენიჭებათ „სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატისა“ და „სსრ კავშირის სპორტის ოსტატის“ წოდება, დაჯილდოვდებიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სამკერდე ნიშნებით (აგრეთვე, შესაბამისი მოწმობებით). სამკერდე ნიშნები იგზავნება ორგანიზაციებში, რომლებიც წარადგენენ მასალებს სპორტსმენის შესახებ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის დავალებით სამკერდე ნიშნებს გადასცემენ ფიზიკური კულტურის კოლექტივების საბჭოები ან სხვა პირველადი ორგანიზაციები, რომელთა წევრებიც სპორტსმენები არიან.

30. „სპორტის ოსტატობის კანდიდატის“, აგრეთვე, პირველი და მეორე თანრიგების სპორტსმენებს სამკერდე ნიშნებით აჯილდოებენ ორგანიზაციები, რომელთაც თანრიგების მინიჭების უფლება აქვთ. სამკერდე ნიშნებს გადასცემენ ფიზკულტურის კოლექტივების საბჭოები ან სხვა პირველადი ორგანიზაციები.

31. სპორტსმენებს, რომელთაც ენიჭებათ III, IV ან ჭაბუკთა თანრიგები, სამკერდე ნიშნებს გადასცემენ ფიზკულტურის კოლექტივების საბჭოები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო-სპეციალური სასწავლებლების, სპორტული სკოლების დირექტორები სწავლის ან სამუშაო ადგილის მიხედვით.

IX. სპორტული წოდების ან თანრიგის მქონე სპორტსმენთა უფლებები და მოვალეობანი

32. სპორტსმენები, რომელთაც მიენიჭებათ სპორტული წოდებები ან თანრიგები, ვალდებული არიან:

ა) მოიქცნენ კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსისა და საბჭოთა სპორტული ეთიკის მოთხოვნათა შესაბამისად;

ბ) სისტემატურად აიმაღლონ პოლიტიკური და კულტურული დონე, იზრუნონ ფიზიკური მომზადების გაუმჯობესებისა და სპორტული ოსტატობის დახვეწისთვის;

გ) ირიცხებოდნენ ფიზიკური კულტურის კოლექტივში (სპორტულ სკოლაში, სპორტულ კლუბში) და სისტემატურად მონაწილეობდნენ შეჯიბრებებში თავიანთი სპორტული ორგანიზაციების სახელით;

დ) დაიცვან სპორტული რეჟიმი, ჰიგიენის მოთხოვნები, განიმტკიცონ ჯანმრთელობა, გამუდმებით იყვნენ საექიმო კონტროლის ქვეშ;

ე) აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ მუშაობაში, გადასცენ სხვა სპორტსმენებს თავიანთი გამოცდილება და ცოდნა.

33. სპორტსმენებს, რომელთაც მიენიჭებათ სპორტული წოდებები, უფლება აქვთ:

ა) ატარონ სათანრიგო სამკერდე ნიშანი;

ბ) ისარგებლონ უპირატესობით სპორტულ ორგანიზაციათა ნაკრებ გუნდებში ჩარიცხვისას;

გ) ისარგებლონ უპირატესობით სპორტულ სკოლებში და ფიზკულტურულ სასწავლებლებში შესვლისას, როცა მისაღებ გამოცდებზე სხვა მაჩვენებლები თანაბარია.

34. მორალური კოდექსისა და საბჭოთა სპორტული ეთიკის დარღვევის შემთხვევაში სპორტსმენს შეიძლება ჩამოერთვას მინიჭებული წოდება და თანრიგი ან არ ჩაეთვალოს შესრულებული სათანრიგო ნორმები და სპორტული კლასიფიკაციის მოთხოვნები.

სპორტსმენებს, რომლებსაც შეჯიბრების პროცესში ჩამოერთმევათ ასპარეზობის უფლება, აღარ ჩაეთვლებათ ამ შეჯიბრებაში სპორტული წოდების ან თანრიგის მოსაპოვებლად ნაჩვენები შედეგი. ისინი კი, ვისაც მოედნიდან ულირსი საქციელისთვის გააძევებენ, მოცემულ თამაშში მონაწილეობის უფლებასაც კარგავენ.

X. ჩასათვლელი საკლასიფიკაციო წიგნაკები, სპორტსმენთა კლასიფიკაციის აღრიცხვა და ანგარიშგება

35. სპორტსმენებისთვის, რომლებიც სათანრიგო ნორმებს და მოთხოვნებს შეასრულებენ, დადგენილია ორი ტიპის საკლასიფიკაციო ჩასათვლელი წიგნაკები:

ა) სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებისთვის, სსრ კავშირის სპორტის ოსტატებისთვის, სპორტის ოსტატობის კანდიდატებისა და პირველთანრიგოსნებისთვის;

ბ) II, III და ჭაბუკთა თანრიგების სპორტსმენებისთვის.

36. სპორტსმენებს ჩასათვლელ საკლასიფიკაციო წიგნაკებს გადასცემენ, აგრეთვე, უფრო მაღალ სპორტულ თანრიგში მათს გადაყვანას აღნიშნავენ ფიზიკური კულტურის კოლექტივების საბჭოები, სპორტული კლუბების გამგეობები, სპორტული სკოლების დირექციები და ა. შ.

37. ჩასათვლელი საკლასიფიკაციო წიგნაკი რეგისტრირებული უნდა იყოს ფიზიკური კულტურის კოლექტივში, სპორტულ კლუბში ან სხვა ორგანიზაციაში, რომლის წევრადაც სპორტსმენი ირიცხება.

38. სპორტსმენი, რომელსაც სპორტული წოდება ან თანრიგი აქვს, შეჯიბრებებში მონაწილეობს იმ ფიზიკური კულტურის კოლექტივის (სპორტული კლუბისა და ა. შ.) სახელით, რომელშიც იგი აღრიცხვაზე იმყოფება და რომელიც მითითებულია მის ჩასათვლელ საკლასიფიკაციო წიგნაკში.

39. ჩასათვლელი საკლასიფიკაციო წიგნაკი არის მოწმობა ამა თუ იმ ფიზიკური კულტურის კოლექტივის (სპორტული კლუბის, სპორტული საზოგადოებისა და ა. შ.) სახელით ასპარეზობის უფლების შესახებ. იგი წარედგინება შეჯიბრების მსაჯთა კოლეგიას.

40. ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტებში, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საბჭოებში, სასწავლებლებში, ფიზკულტურის კოლექტივებში, სპორტულ კლუბებსა და სხვა ორგანიზაციებში საგანგებოდ გამოყოფილია საშტატო პირი მომუშავეთაგან ან საზოგადოებრივი აქტივიდან, რომელსაც ევისრება აღრიცხვა და ანგარიშგება ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციით დადგენილი ფორმების შესაბამისად.

სასწავლებლები, ფიზკულტურის კოლექტივები, სპორტული კლუბები, სპორტული სკოლები, დოსააფის კომიტეტები ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საბჭოები, ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტები და სხვა ორგანიზაციები ვალდებული არიან ჰქონდეთ და ინახავდნენ (ოთხი წლის განმავლობაში) საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის შემდეგ საბუთებს: სპორტულ შეჯიბრებათა ოქმები, საკლასო (ჯგუფების) ჟურნალები, სათანრიგო ნორმებისა და მოთხოვნების ჩაბარების უწყისები, ჩამბარებელთა სააღრიცხვო ბარათები, წარდგინებანი სპორტული წოდების მისანიჭებლად, აგრეთვე, შესაბამისი დადგენილებები, ბრძანებები ან განკარგულებები სპორტული თანრიგების მინიჭების, საკლასიფიკაციო წიგნაკებისა და სათანრიგო სამკერდე ნიშნების გადაცემის შესახებ.

41. სპორტსმენ თანრიგოსანთა მომზადებისა და მათი რაოდენობის შესახებ ანგარიშგება ხდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მიერ დადგენილი ფორმებითა და წესით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით.

42. სათანრიგო სამკერდე ნიშნებისა და ჩასათვლელი საკლასიფიკაციო წიგნაკების შესაძენად ხარჯებს გაიღებენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები, სპორტული კლუბები, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები და უწყებები. სპორტულ ორგანიზაციათა სათანრიგო სამკერდე ნიშნებითა და ჩასათვლელი საკლასიფიკაციო წიგნაკებით სპორტულ ორგანიზაციათა უზრუნველყოფის წესი ვანსაზღვრულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ინსტრუქციით.





რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშები

მზადების ბოლო ეტაპი

ფალავანთა კლუბში ოთხ დღეს გრძელდებოდა საქართველოს სსრ ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში. გუნდური პირველობისთვის ბრძოლაში 9 კოლექტივი ჩაება და, როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვება თბილისელებს დარჩათ (169 ქულა). II-IV ადგილები შესაბამისად დაიკავეს ქუთაისის (138), აჭარისა (136) და აფხაზეთის (120) ათლეტებმა. აღსანიშნავია, რომ ოთხივე კოლექტივი სრულად დაკომპლექტებული იყო. მომდევნო ადგილებზე გასული რუსთავის, სამტრედიის, გორის, ჭიათურისა და ფოთის გუნდებს მოჭიდავეები აკლდათ — ზოგს სამ წონაში, ზოგს — ოთხში და ა. შ. ბუნებრივია, გუნდურ ბრძოლაში მათ ნაკლები იმედი ექნებოდათ წარმატებისა. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის რაიონებში ერთგვარად გამოცოცხლდა მუშაობა, თბილისელთა უპირატესობა კვლავინდებურად დიდია. გუნდურ ასპარეზობაში, როგორც წესი, მონაწილე კოლექტივებს ყოველ წონაში თითო ათლეტი გამოჰყავდათ. სწორედ ამიტომ იყო, რომ საქართველოს ნაკრების ბედ-იღბლით დაინტერესებულმა მწვრთნელებმა შეჯიბრების შემდეგ თითოეულ წონაში ახალგაზრდებისთვის მინი-ტურნირები გამართეს და იქ გამოსცადეს დანარჩენი ნიჭიერი ათლეტები, რომლებმაც მანამდე ვერ იასპარეზეს.

— ეს იმისთვის გაკეთდა, — გვითხრა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ი. ჩხარტიშვილმა, — რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ არჩევანის სისწორეში. ეს ღონისძიება იმიტომაც დაგვჭირდა, რომ 19-20 წლის მოჭიდავენი წინა წლებში უკეთ იყვნენ მომზადებული. ასეა თუ ისე, ახლა ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ უკეთესთაგან უკეთესებს მივცეთ საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში რესპუბლიკის ღირსების დაცვის საშუალება. შეჯიბრება კი კარს მოგვადგა, — ივლისის პირველ რიცხვებში ჩვენი ახალგაზრდა კლასიკოსები მინსკში იასპარეზებენ. ბუნებრივია, დროის ეს მონაკვეთი რაციონალურად უნდა გამოვიყენოთ. ნაკრების მწვრთნელისგან ისიც გავიგეთ, რომ 10 ივნისამდე მოჭიდავეთა ერთი ნაწილი ვერ ივარჯიშებს, ვინაიდან ამ პერიოდში ერთნი „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ნაკრების ღირსებას დაიცავენ ჩეხოსლოვაკიაში, მეორენი კი არმიელთა საკავშირო შეჯიბრებაში იასპარეზებენ. საქართველოს ნაკრები გუნდების უფროსმა მწვრთნელმა დ. დავითაიამ კი აღნიშნა, რომ აჭარიდან, ქუთაისიდან და სამტრედიიდან ახალგაზრდულ ნაკრებში ოთხი ათლეტი შევიდა. ეს უთუოდ კარგი ნიშანია. ჭიდაობის გამოცდილ სპეციალისტს მოეწონა აბაშელი ჭაბუკი კაჭარავა, რომელიც პირად შეჯიბრებაში მონაწილეობდა. ამ ახალგაზრდას უთუოდ დიდი მომავალი აქვს და მას ახლავე უნდა მივუჩინოთ გამოცდილი მწვრთნელი.

შევნიშნავთ იმასაც, რომ პირად პირველობაში გამარჯვებულთა დიდმა უმრავლესობამ თითქმის ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო. მაგალითად, თბილისელმა ა. გიჯაშვილმა (48 კგ) ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო. ასეთივე წარმატებები მოიპოვეს თბილისელებმა ვ. ოდიშარიამ (62 კგ), ქ. ნინიძემ (90 კგ) და ს. დოლიძემ (100 კგ). ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა აჭარის წარმომადგენელმა ლ. შავაძემ (74 კგ), რომელმაც შეჯიბრება მხოლოდ 1 საჯარიმო ქულით დაამთავრა. მომავალში მისგან კიდევ უფრო დიდ წარმატებებს ველით. აღსანიშნავია ისიც, რომ შავაძემ წლეულს სსრ კავშირის ჭაბუკთა ჩემპიონატში პირველობა დაისაკუთრა.

ახლა ჯერი საკავშირო თამაშებისთვის მზადებაზე მიდგა და იმედი გვაქვს, ახალგაზრდა ქართველ ფალავნებს უქმად არ ჩაუვლით ეს პერიოდი.

გთავაზობთ პირადი პირველობის პრიზიორთა სამეულებს:

48 კგ. 1. ა. გიჯაშვილი (თბილისი), 2. ნ. ქედელიძე (აჭარა), 3. მ. ჭელიძე (ქუთაისი).

52 კგ. 1. თ. ხატიაშვილი (თბილისი), 2. გ. გოქსაძე (ქუთაისი), 3. ტ. ყაზარაშვილი (რუსთავი).

57 კგ. 1. ნ. კოზაევი (თბილისი), 2. ტ. ავალიანი (ქუთაისი), 3. გ. შველიძე (რუსთავი).

62 კგ. 1. ვ. ოდიშარია (თბილისი), 2. ი. შალამბერიძე (ქუთაისი), 3. რ. გვინცაძე (სამტრედია).

68 კგ. 1. გ. ოდიშარია (ქუთაისი), 2. თ. მარშანიშვილი (თბილისი), 3. ლ. მეხეშიძე (აჭარა).

74 კგ. 1. ლ. შავაძე (აჭარა), 2. ვ. ადეიშვილი (სამტრედია), 3. დ. არქანია (აფხაზეთი).

82 კგ. 1. ბ. ხმელიძე (თბილისი), 2. გ. მიქელაძე (აჭარა), 3. ნ. იდუკაშვილი (რუსთავი).

90 კგ. 1. ქ. ნინიძე (თბილისი), 2. ვ. ხუნდაძე (ქუთაისი), 3. მ. ხიდაშელი (სამტრედია).

100 კგ. 1. ს. დოლიძე (თბილისი), 2. ნ. ჩანჩიბაძე (აჭარა), 3. მ. ხაბურზანია (სამტრედია).

100 კგ-ს ზევით. 1. დ. ყიფიანი (თბილისი), 2. გ. ჩალაძე (აფხაზეთი), 3. დ. კორძაძე (ქუთაისი).

ჯ. ენუქიძე.

• • •

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს უ რ ა თ ზ ე: ნ. ქედელიძისა (მარჯვნივ) და ი. მოზღუხინის შეხვედრის მომენტი.

გ. დოლენჯაშვილის ფოტო.

ცნობა ლას-პალმასიდან

ლას-პალმასის (ესპანეთი) საერთაშორისო ტურნირში შედგა XII ტურის შეხვედრები.

ერთპიროვნულმა ლიდერმა, მსოფლიო ჩემპიონმა ა. კარპოვმა სძლია ესპანელ ს. კაბრერას. კვლავ გაიმარჯვა ბ. ლარსენმა (დანია), ამჯერად ა. ადორიანთან (უნგრეთი). ქულა შეიძინა ი. ტიმანმაც (ჰოლანდია) ესპანელ ა. მარტინთან შეხვედრაში. მ. ტალი დაუზავდა ამერიკელ დიდოსტატ უ. ბრაუნს, რ. დებარნო (არგენტინა) კი — ესპანელ ფ. ვიზიერს.

12 ტურის შემდეგ ა. კარპოვს 11 ქულა აქვს, ბ. ლარსენს — 8,5, ი. ტიმანს — 8, მ. ტალსა და რ. დებარნოს — 7,5-7,5.

ორი ლიდერი

კაპაბლანკას მემორიალში, რომელიც კუბაში, სიენფუეგოსში ტარდება, 4 ტურის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდეს ოსტატებმა ი. დორფმანმა (სსრ კავშირი) და ბულგარეთის ჩემპიონმა ე. ერმენკოვმა — 3,5-3,5 ქულა.

უწინდელი ლიდერი, შვედი დიდოსტატი უ. ანდერსონი IV ტურში დამარცხდა ო. რომანიშინთან (სსრ კავშირი).

პანო პირველ ადგილზეა

ლონგ-პაინის (აშშ) დიდი საერთაშორისო ტურნირის დამთავრების შემდეგ ცნობილი არგენტინელი დიდოსტატი პანო გაემგზავრა კოლუმბიაში. მან მონაწილეობა მიიღო ბოგოტაში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც 16 დიდოსტატი და ოსტატი გამოდიოდა. შეჯიბრებაში ჩაებნენ დიდოსტატები ოსტოიჩი (იუგოსლავია), გ. გარსია (კუბა), უკანასკნელი საზონათაშორისო ტურნირის მონაწილე კასტრო (კოლუმბია) და სხვა ცნობილი მოჭადრაკეები.

11,5 ქულით I ადგილი დაიკავა პანომ.

პეტრანის გამარჯვება

ბელგრადში დამთავრდა ცნობილი იუგოსლავიელი ოსტატის სავა ვუკოვიჩის მემორიალი, რომელშიც 12 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა. 7,5 ქულით გაიმარჯვა საერთაშორისო ოსტატმა პეტრანმა (უნგრეთი).

ბირმინგემის ტრადიციული...

ბირმინგემში (ინგლისი) დასრულდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ყოველწლიურად ტარდება. ასპარეზობაში 12 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა.

I ადგილი ხვდა ახალგაზრდა ინგლისელ ოსტატს ბოტერილს — 7,5 ქულა. 7-7 ქულით II-III ადგილები გაიყვეს იუგოსლაველმა მოჭადრაკეებმა — დიდოსტატმა დამიანოვიჩმა და საერთაშორისო ოსტატმა რუკავინამ.

ჭადრაკი

„მოსკოვური საღამოები"

მოსკოვის მახლობლად, ქალაქ ბალაშიხაში დამთავრდა ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც საოლქო საჭადრაკო ფესტივალის — „მოსკოვური საღამოების" პროგრამაში შედიოდა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა შვიდი სოციალისტური ქვეყნის 14 წარმომადგენელი.

გთავაზობთ შედეგებს: I. დიდოსტატი რ. კნააკი (გდრ) — 9 ქულა, II. საერთაშორისო ოსტატი ბ. ივანოვიჩი (იუგოსლავია) — 8,5, III. დიდოსტატი ს. მაკარიჩევი (სსრ კავშირი) — 8. შემდეგ მოდიან: ოსტატები ი. ვატნიკოვი (სსრ კავშირი), ა. ლენჩი (ჩეხოსლოვაკია) — 7,5-7,5, დიდოსტატი რ. ხოლმოვი (სსრ კავშირი), საერთაშორისო ოსტატი პ. პეევი (ბულგარეთი) — 7-7, დიდოსტატი ნ. კიროვი (ბულგარეთი) — 6,5, ოსტატი ე. ჩაპლინსკი, საერთაშორისო ოსტატი ი. ესტრინი (ორივე — სსრ კავშირი) — 5,5-5,5, საერთაშორისო ოსტატი დ. სილადი (უნგრეთი), ოსტატი ლ. ნეცკარჟი (ჩეხოსლოვაკია) — 5-5, საერთაშორისო ოსტატი ი. ბედნარსკი (პოლონეთი) — 4,5, ოსტატი ვ. ბორისოვი (სსრ კავშირი) — 4.

ფეხბურთი '77

[illegible]

სტატისტიკის მოყვარულთათვის მოგვყავს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის განვლილი ტურის მატჩების მონაცემები.

„ლოკომოტივი" — „ზარია" 2:0. ამ მატჩში აღსანიშნავია ის, რომ ლოკომოტიველთაგან ერთი ბურთი გაიტანა თავდამსხმელმა გ. ნოდიამ. მის ანგარიშზე ახლა 99 გოლია და სულ ერთი ბურთი უკლია გ. ფედოტოვის სახელობის კლუბში მოხვედრას. მეორე გოლი ეკუთვნის გაზაევს.

გაფრთხილება მიიღო ვოროშილოვგრადელმა აბრამოვმა.

ცსკა — „ტორპედო" 2:2. კოპეიკინისა და ჩესნოკოვის ორ გოლს ტორპედოელებმა ასევე ორი ბურთით უპასუხეს (ბულგაკოვი, ხრაბროსტინი).

„დნეპრი" — „დინამო" მ. 0:1. გოლი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა მოსკოველებს, ეკუთვნის მაქსიმენკოს.

„არარატი" — „კარპატი" 1:0. ბურთი ლვოველთა კარში 55-ე წუთზე გაიტანა ოგანესიანმა.

„ჩერნომორეცი" — „შახტიორი" 1:0. ტაიმის დამთავრებას 2 წუთი აკლდა, როცა ლოგვინენკოს ზუსტი დარტყმის შემდეგ ბურთი სტუმრების კარში აღმოჩნდა. მინდვრიდან გააძევეს დონეცკელი პიანიხი.

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთა სიას ჯერჯერობით სათავეში უდგას თბილისელი დ. ყიფიანი — 4 გოლი.

მსოფლიო პირველობა

ბოლო შესარჩევი

ბუდაპეშტი. მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო შესარჩევი მატჩი ევროპის მეცხრე ჯგუფში უნგრეთისა და საბერძნეთის ნაკრებ გუნდებს შორის ბუდაპეშტის „ნეპშტადიონზე" მოეწყობა არა 25, არამედ 28 მაისს. უნგრეთის გუნდმა ამ შეჯიბრებისთვის მზადება დაიწყო ტატაში, თავის საწვრთნელ ბანაკში. ვარაუდობენ, რომ გუნდი ბერძნების წინააღმდეგ იმავე შემადგენლობით ითამაშებს, რომელიც თბილისში სსრ კავშირის ნაკრებთან მატჩში გამოიყვანა.

გავახსენებთ, რომ ბუდაპეშტში გამარჯვებული არგენტინის საგზურისთვის ბრძოლას განაგრძობს ერთ-ერთ სამხრეთამერიკულ გუნდთან (ბრაზილია, პერუ, ბოლივია) მატჩებში. თუ შეხვედრა ფრედ დამთავრდა, მეცხრე ჯგუფში გამარჯვებას სსრ კავშირის ნაკრები მოიპოვებს.

◆

სსრ კავშირი — მალტა 6:0

სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრებმა უეფა-ს ტურნირის უკანასკნელი მატჩი ქვეჯგუფში ჩაატარა მალტის გუნდთან და დიდი ანგარიშით გაიმარჯვა — 6:0. ახლა ნახევარფინალში საბჭოთა ფეხბურთელები ბელგიის ნაკრებს შეხვდებიან.

სსრ კავშირის პირველობა

გათამაშების ცხრილი

II ლიგა, IV ზონა

მდგომარეობა 25 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" ნლ.	8	6	1	1	11—5	13
„დილა"	8	5	1	2	15—9	11
„შირაკი"	8	5	1	2	15—9	11
„ავტომობილ."	8	5	1	2	10—4	11
„გურია"	8	4	2	2	20—10	10
„დინამო" ზ.	8	5	0	3	14—8	10
„დინამო" მხ.	8	5	0	3	15—11	10
„ტორპედო"	8	4	1	3	12—8	9
„პროგრესი"	8	3	2	3	9—7	8
„დინამო" ბ.	8	3	2	3	8—6	8
„სოკოლი"	8	3	2	3	12—12	8
„დრუჟბა" ი.-ო.	8	3	2	3	7—11	8
„გასტელო"	8	3	1	4	14—12	7
„დრუჟბა" მ.	8	2	3	3	7—5	7
„ლოკომოტივი"	8	3	1	4	6—8	7
„სპარტაკი" თბ.	8	3	1	4	8—13	7
„დინამო" კრ.	8	3	1	4	6—12	7
„დინამო" სხ.	8	2	3	3	6—14	7
„ტურბინა"	8	2	2	4	8—9	6
„ზენიტი" იჟ.	8	2	2	4	9—11	6
ფიზკ. ინსტ.	8	2	1	5	5—10	5
„არაში"	8	0	0	8	2—25	0

სსრ კავშირის ჩემპიონატი

რაგბი

მესამე ტური

კვირას გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მესამე ტურის მორიგი შეხვედრები, რომელთა შედეგები ასეთია: „სლავა" (მოსკოვი) — „პოლიტექნიკი" (კრასნოიარსკი) 59:6, „სპარტაკი" (კიევი) — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია (მოსკოვის ოლქი) — 6:8, „ფილი" (მოსკოვი) — „პრიმორეცი" (ლენინგრადი) 21:16, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „უნივერსიტეტი" (ნალჩიკი) 36:6.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსა	3	3	0	0	61—16	6
„სლავა"	3	2	0	1	109—28	4
„ლოკომ." (მ.)	3	2	0	1	60—22	4
„ფილი"	3	2	0	1	58—22	4
„ელვა"	3	2	0	1	26—19	4
„ლოკომ." (თბ.)	3	2	0	1	27—31	4
„სპარტაკი"	3	1	1	1	33—24	3
„პრიმორეცი"	3	0	1	2	25—74	1
„უნივერსიტეტი"	3	0	0	3	10—79	0
„პოლიტექნიკი"	3	0	0	3	19—113	0

მძლეოსნობა

ჰავანა. თავისუფლების კუნძულის დედაქალაქში სტადიონზე გამართულ შეჯიბრებაში მასპინძლებმა ორი მსოფლიო რეკორდი გაიმეორეს. მონრეალის ოლიმპიადის პრიზიორმა ა. კასანიამ 110 მეტრზე თარბიენში ზუსტად 13 წამი აჩვენა, ხოლო ს. ლეონარდმა 100 მეტრი 9,9 წამში გაირბინა. მანვე 200 მეტრზე ასპარეზობაში კუბის რეკორდი გააუმჯობესა — 19,9.

ოლიმპიადის შემდეგ პირველ შეჯიბრებაში თამაშების ორგზის ჩემპიონმა ა. ხუანტორენამ 800 მეტრზე რბენაში მაღალი შედეგით (1.42,8) გაიმარჯვა.

ლონდონი. ინგლისელმა ჯ. კეიპსმა აქ გამართულ შეჯიბრებაში ბირთვი 20,98 მეტრზე ჰკრა. ეს წლეულს მსოფლიოში საუკეთესო მაჩვენებელია.

ჰელსინკის სტადიონზე ფინელმა შუბის მტყორცნელმა ა. აჰოპ პიერადი რეკორდი ერთბაშად 4,5 მეტრით გააუმჯობესა. მისი შედეგი — 89,40 მეტრი წლეულს საუკეთესოა მსოფლიოში. აქვე 10 კილომეტრზე რბენაში მსოფლიოში სეზონის საუკეთესო შედეგით გაიმარჯვა ტ. სიმონსმა (დიდი ბრიტანეთი) — 28.02,14.

მშვილდოსნობა

მინსკში დამთავრდა მშვილდოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება „გაზაფხულის ისრები". მასპინძლებმა — საბჭოთა სპორტსმენებმა ამ ასპარეზობის მრავალწლიან ისტორიაში პირველად შეძლეს გამარჯვება როგორც ქალთა, ისე ვაჟთა ტურნირებში.

ქალთა შორის მსოფლიო ექს-ჩემპიონმა, 22 წლის ზ. რუსტამოვამ მრავალჭიდში 2459 ქულა მოაგროვა, ხოლო ვაჟთა შორის იმარჯვა 37 წლის მ. დაბაევმა — 2453.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

თბილისის სპორტულ აფიშაზე

ფეხბურთი. ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა. „დინამოს" ბაზა დიღომში. 25 მაისი. „დინამო" (თბილისი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი). დასაწყისი 17 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა, რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონი ცნობებისთვის 93-97-57.

7 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 09684